შემდეგ აიღო აბდესი მათ წინაშე ისე, როგორც მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) აკეთებდა ამას

იაჰია იბნ უმარა ალ-მაზინი გადმოსცემს: "მე ვესწრებოდი, როდესაც ამრ იბნ აბუ ჰასანმა ჰკითხა აბდულლაჰ იბნ ზაიდს მოციქულის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) აბდესი შესახებ. აბდულლაჰმა მოითხოვა წყლით სავსე ჯამი, შემდეგ აიღო აბდესი მათ წინაშე ისე, როგორც მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) აკეთებდა ამას . შემდეგ მან ჯამიდან ხელზე წყალი დაასხა და ხელები სამჯერ დაიბანა. შემდეგ ხელი ჯამში ჩაყო, პირი ჩამოიბანა და ცხვირი წყლით ამოიბანა სამჯერ. შემდეგ ხელით წყალი აიღო და სახე სამჯერ დაიბანა. შემდგომ ხელები იდაყვებამდე ორჯერ დაიბანა. ხელი კვლავ ჯამში ჩადო, თავის თმა გაასველა და ორივე ხელი ერთიანად წინ და უკან გადაატარა. ბოლოს კი ფეხები კოჭებამდე დაიბანა".

[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

აბდულლაჰ იბნ ზაიდმა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) პრაქტიკულად აჩვენა მოციქულის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) აბდესის აღების წესი. მოითხოვა პატარა წყლის ჭურჭელი, თავდაპირველად მან ხელისგულები დაიბანა, შემდეგ დახარა ჭურჭელი და წყალი დაასხა, რათა ხელები სამჯერ დაებანა ჭურჭლის გარეთ. შემდეგ ხელი ჩაყო ჭურჭელში და სამჯერ აიღო წყალი ხელით: თითოეულ შემთხვევაში გამოივლო პირი, შეიყვანა წყალი ცხვირში და გამოუშვა. შემდეგ აიღო წყალი ჭურჭლიდან და სამჯერ მოიბანა სახე. შემდეგ აიღო წყალი ჭურჭლიდან და ორჯერ-ორჯერ მოიბანა ხელები იდაყვებამდე. შემდეგ ხელები ჩაყო ჭურჭელში, თავზე წაისვა სველი ხელები: დაიწყო შუბლის წინა ნაწილიდან, მიიყვანა კეფამდე (კისრის ზედა ნაწილი), შემდეგ უკან დააბრუნა ხელები იმ ადგილამდე, საიდანაც დაიწყო, შემდეგ მოიბანა ფეხები ტერფებთან ერთად.

http://www.sunnah.global/hadeeth/ka/show/3444